



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



N 50  
 28/06/2017

50-07-4-201706280941



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №50  
 2017 წლის 27 ივნისი  
 ქ. ლანჩხუთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეო-ეკონომიკური კავშირთაშორის ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი-სთვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ.“ პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (2647 ლიტრი ინსექტიციდი ზონდერი, ზურგსაკიდი შემასხურებელი აგრეგატი SOLO PORT 423 (61 ცალი), დამცავი კომბინიზონი (854 ცალი), რესპირატორი (122 ცალი), დამცავი ხელთათმანი (244 წყვილი), დამცავი სათვალე (122 ცალი), ხმაურის ჩამხშობი (ყურის საცობი) (366 ცალი), ორტაქტიანი ძრავის ზეთი (160 ლიტრი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეო-ეკონომიკური კავშირთაშორის ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი“-სთვის (ს/კ: 233733984) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო